საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი 26 დეკემბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ფასდება 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ ხელნაწერთ რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: [illegible] ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 280 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 280

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულდამწვარი გურული ამხანაგები მწუხარებით აუწყებენ მშობლებს და ამხანაგებს სახალხო გვარდიის არტილერისტის

**გერმანე გიჭიას ძე მარშანიშვილის**

გმირულად დაკარგვას, რომლის დაკრძალვა მოხდება სამების ეკლესიის გალავანში დღისით, ხუთშაბათს, 26 დეკემბერს. (3—3)

თავ-ზარდაცემული დედა ეკა, ძმა გიორგი, დები: ფადიმე, ფედოსი, მაკრინე, ბარბარე და მეტია, სიძე ფარნაოზ ქეიშვილი, დის შვილები: თეკლე, ვასილი, ლუკა, კოლია, თათარ ხანი და კალიუფა წეროძეები, ფიცა, მოსე, ილიტე, მინადორა, მაგდანე და მარია ქეიშვილები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ ძვირფასი

**გერმანე გიჭიას ძე მარშანიშვილის**

გარდაცვალებას, რომელიც გმირულათ დაეცა ბორჩალოს ბრძოლის ველზე 19 დეკემბერს. დასაფლავება მოხდება სოფ. სამების (გურია) ეკლესიის გალავანში, ხუთშაბათს, 26 დეკემბერს. (3—3)

პროფესიონალური სექციის წევრები სად. ტფილისის რკ. გზ. მოსამსახურე კონდუქტორებისა ღრმა მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს და ნათესავებს პროფესიონალური კავშირის წევრის

**ნესტორი კარჯანაძის და კონსტანტინე ეგიტაშვილის**

სიკვდილს, რომლებიც გმირულათ დაეცნენ სომხეთა შოვინისტურ პარტიასთან შეტაკების დროს. (2—2)

დედ-მამა მაკრინე და ალექსი, ძმები ალექსანდრე (სანდრო), ვლადიმერი, სამსონი და ვარდენი მიმინაშვილები, დაი ბარბარე (ბობუ) ქმრით მიხეილ სალაყაიძით, რძლები: ოლღა ჩუბაბრიას ასული, მინა თურქიას ასული და ვასასი ფხაკაძის ასული აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ ბრძოლის ველზე, სანაინის ფრონტზე დაიღუპა სახალხო გვარდიის პორუჩიკი

**ნესტორ ალექსის ძე მიმინაშვილი**

თუ მიცვალებულის ცხედრის პოვნა შეიძლება, დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ალექსანდრე ლუკაშევიჩ, ცოლით ნინოთი და დედით მარიამით ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ამხანაგთ, ძვირფასი ძმის

**კოლია ნესტორის ძე მელაძის**

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქალაქ ხონში 28 ქრისტეშობისთვეს. (2—1)

ღრმად დამწუხრებულნი ქმარი ფილიპე, შვილები: დათიკო, აკაკი, ნესტორ, ერისტო და გაბო, დები: ანეტა, ლიზა, მარო, რძალი ანიჩკა თავმერიძეები, სიძეები: გერასიმე ლომთათიძე, ესე ქეიშვილი და აქსენტი სიხარულიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დიდა რისიმეს შვილების:

**გიორგი და შუნანიკას**

უდროოდ გარდაცვალებას რომელთა ორმოცი დღის წირვა და გამოთხოვება მოხდება ზენობანის წმინდა გიორგის ეკლესიაში ხუთშაბათს 26 ქრისტეშობისთვეს ახალი სტილით, დღის თორმეტ საათზე.

შაბათი 28 დეკემბ. **თფილისის მოქალაქენო!** შაბათი 28 დეკემბ.

დაეხმარეთ იმათ, ვინც თავისი სისხლით უზრუნველ ჰყოფს თქვენს თავისუფლებას და მშვიდობიან არსებობას! დაამზადეთ ყოველგვარი შემოწირულება. ყველაფერს უღრმესი მადლობით მივიღებთ. ქალაქის ყოველ უბანში შეაგროვებენ ავტომობილებით შემოწირულებას.

**საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტი.**

თავმჯდომარე ნ გაბაშვილისა.

გოლოვინის პროსპექტი, № 24. (3—2)

## „ზავის" შუამავალნი

ზოგიერთი დაფარული თანამგრძნობნი „დაშნაკელთა" და სომხეთის მთავრობის პოლიტიკისა ცდილობენ თავისი ჭეშმარიტი სულისკვეთება დამალონ მშვიდობის მოყვარეობის სამოსელში. „ომის შეწყვეტა, რათაც უნდა დაგვიჯდეს ეს!"—აი მათი ლოზუნგი. როდესაც ქალაქის საბჭოს სოც. დემ. ფრაქციამ წამოაყენა რეზოლიუცია, რომელშიაც ომის მოსპობის აუცილებელ პირობათ აღიარებული იყო სომხეთის ჯარის უკან წაყვანა იმავ ხაზზე, რომელზედაც ომის დაწყებამდის იდგა, „დაშნაკცაკანები" და მათი ზედ ნადები სოც.-რევ. ფრაქცია წინააღუდგნენ ამ პირობას და განაცხადეს: ეს პირობა მშვიდობიანობას ხელს შეუშლის, რადგან ჯერ არავინ იცის, რომელი მხარეა ომის გამომწვევი. ეს მოსაზრება იმდენათ სერიოზულათ სჩვენებიათ ჩვენს ყოფილ ამხანაგებს, გაზ. „სოც. დემოკრატის" ჯგუფს, რომ მან ხმის მიცემის დროს ჩვენს ფრაქციას უღალატა, დაარღვია პარტიული დისციპლინა და თავის ხმებით „დაშნაკცაკანების" ფრაქციას გაამარჯვებინა. დღეს ეს განდგომილნი ცდილობენ თავისი მოღალატური ნაბიჯი იმავ მოსაზრებით გაამართლონ: „ქალაქის საბჭო არის ორგანო, რომელიც მოწოდებული არ არის გაარკვიოს კონფლიქტის წვრილმანები, მოწოდებული არ არის მსაჯულობა იკისროს; იგი ვალდებულია თავისი გავლენა მოახდინოს იმაზე, რაც ხდება, და პროტესტი გამოაცხადოს ამ უგუნურ შეტაკების გამო".

ასე საკითხის დაყენება, ჩვენის აზრით, **„დაშნაკცაკანების" და სომხეთის მთავრობის მხარის დაჭერაა**. რაც უნდა გაჯავრდეს ჩვენი ყოფილი ამხანაგი გ. სმირნოვი, რაც უნდა გვლანძღოს მან ამ სიტყვებისთვის, ჩვენ მაინც ვიტყვით, რომ ვინც ამ პოლიტიკას იზიარებს, ის ჩვენი მტერია და სომხეთის მთავრობის მომხრე. გავარკვიოთ საქართველო-სომხეთის ომის არსება.

ჩვენ უკვე არა ერთხელ გვითქვამს, რომ ეს ომი გამოწვეულია ორი მსოფლ მხედველობის, მათზე დაფუძნებულ ორი პოლიტიკურ ხაზის შეურიგებლობით. თხუთმეტ წელიწადზე მეტია ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე ერთმანეთს ებრძვის ორი პოლიტიკა: ერთი მათგანი არის პოლიტიკა, რომელსაც სათავეში უდგას ამიერ-კავკასიის პროლეტარიატი და რომლის მიზანია—საზოგადოებრივი ელემენტები შეაერთოს კლასიურს და არა ნაციონალურ ნიადაგზე,—ამოავსოს ის ხრამი, რომელიც ყოფს ეროვნებებს და გააღრმავოს ის ხრამი, რომელიც ყოფს კლასებს. ამნაირ მსოფლმხედველობიდან პირდაპირ გამომდინარეობს ერთა შორის სოლიდარობის და ძმობის პრინციპი, რომლის მატარებლათ და მქადაგებლათ მუდამ გამოდიოდა პროლეტარიატის პარტია.

მეორე პოლიტიკა, პირიქით, მთელი თავისი მსოფლმხედველობით ბურჟუაზიულ-ნაციონალურ ნიადაგზე იდგა. საზოგადოების დაყოფა ეროვნულათ და ეროვნების ფარგლებში კლასიური წინააღმდეგობის შემცირება,—აი მისი არსება. აქედან პირდაპირ გამომდინარეობს ერთა შორის წინააღმდეგობის პოლიტიკა, რომლის მატარებლათ და მქადაგებლათ მუდამ გამოდიოდა ყველაზე ძლიერი ბურჟუაზიული პარტია—„დაშნაკცუთიუნი".

ბრძოლა ამ ორ მსოფლმხედველობას და პოლიტიკურ ხაზს შორის ხან აშკარათ, ხან დაფარულათ სწარმოებდა. შეხლა მათ შორის ხან სასტიკი იყო, ხან, სხვადასხვა გარეშე გარემოებათა გავლენით, მიყუჩდებოდა. დღეს, როდესაც ეს ორი ძალა პირისპირ შეხვდა ერთმანეთს, როდესაც ამიერ-კავკასიაში, ან ერთს უნდა დარჩეს ბურთი და მოედანი, ან მეორეს, ეს ორი ძალა ერთმანეთს სამკვდრო სასიცოცხლოთ ეკვეთა.

ამიერ-კავკასიის ცალკე რესპუბლიკებათ დაყოფამ დიდი ზიანი მოუტანა სომხის ბურჟუაზიას. მისი კაპიტალის ცენტრი თფილისია, და სწორეთ ეს ცენტრი ჩაუვარდა ხელში ბურჟუაზიის მოწინააღმდეგე კლასს, პროლეტარიატს და მშრომელ ხალხს. ამ კლასის წარმომადგენლები გაბატონდნენ ქალაქის საბჭოში, ამ კლასის მთავრობამ თფილისი თავის დედაქალაქად გადააქცია. როგორ დასთმობდა ამას სომხის ბურჟუაზია, რომელიც რევოლიუციამდის შეურყევლათ გაბატონებული იყო თფილისში და რომელმაც ამ ქალაქის თვითმართველობა თავის კაპიტალების მსახურად გადააქცია? ადრე თუ გვიან მას უნდა ეფიქრა იმისთანა პირობების დაბრუნებაზე, როდესაც მათს კაპიტალების ზრდას არაფერი არ გადაეღობება წინ. ამისათვის კი საჭირო იყო დაძლევა და განადგურება იმ პოლიტიკის, რომლის მატარებელია საქართველოს რესპუბლიკაში გაბატონებული მუშა ხალხის მთავრობა.

აი სომხეთის მთავრობის და მის სულისჩამდგმელი პარტიის „დაშნაკცუთიუნის" შეურიგებლობის მიზეზი. აი, რათ უფრთხოდა სომხეთის მთავრობა ყველა ნაირ კონფერენციებს, არბიტრაჟებს და სხვა ამნაირ საშუალებებს, რომლებზედაც შესაძლებელი იყო საქმის მორიგებით გათავება. აი რათ დაუმალა მან სომხის ერს, რომ საქართველოს მთავრობა მზათ იყო დაეთმო ლორის რაიონი, რომლის გამოც ვითომდა დაიწყო ომი სომხეთის მთავრობამ, აი რათ იყო იგი ომის გუნებაზე და რათ ეწინააღმდეგებოდა ყველა იმას, რასაც მორიგებისაკენ მივყავდით.

ასეთია ომის ჭეშმარიტი სარჩული. ცხადია, მაშასადამე, რომ ეს ომი უნდა დამთავრდეს ან ერთი პოლიტიკის დამარცხებით, ან მეორის. საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრებ პარტიები, ჯგუფები, მიმდინარეობანი ან ერთს მხარეს უნდა მიემხრონ, ან მეორეს. ომამდის მისული კლასიური წინააღმდეგობა—წინააღმდეგობა ამიერ-კავკასიაში ყველაზე ძლიერ სომხის ბურჟუაზიასა და ინტერნაციონალურ დემოკრატიას შორის—უნდა დასრულდეს ან ერთი მხარის გამარჯვებით, ან მეორის. ვინც იტყვის, მათ შორის უნდა მორიგება მოხდესო, ის ფაქტიურად სანქციას უწერება, უნებურად ადასტურებს იმ ძალადურ იერიშს, რომელიც ბურჟუაზიამ—სომხეთის მთავრობის სახით—მიიტანა დემოკრატიაზე. ვინც იტყვის, დეე შერიგება მოხდეს იმ პოზიციებზე, სადაც ეხლა დგას ორივე სახელმწიფოს ჯარებიო, იგი ამბობს—დეე გაიმარჯვოს „დაშნაკცუთიუნის" მთავრობამო.

აქ, რასაკვირველია, ომია არა ორ ერს შორის; აქ ომია ორი კლასის პოლიტიკის შორის, თუ ამ ბრძოლაში „დაშნაკცუთიუნი" თუნდაც ცოტათი გამარჯვებული გამოვიდა, მისი გავლენა სომხის ხალხზე უფრო გაიზრდება. ამ ომმა უნდა დაანახვოს თვით სომხის ხალხს, რომ „დაშნაკცუთიუნის" პოლიტიკას მთელი ერი დაღუპვის კარამდის მიჰყავს. ამ გზით ომმა უნდა გაანთავისუფლოს სომხის ერი „დაშნაკცაკანურ" ბურანიდან და მის საბედისწერო უღლიდან. „დაშნაკცაკანურ" პოლიტიკის დაძლევა ხსნა იქნება მთელი ამიერ-კავკასიის დემოკრატიისათვის, ამიერ-კავკასიის ყველა ერთათვის და პირველ ყოვლისა თვით სომხეთის დემოკრატიისათვის და სომხის ერისათვის.

ვინც საქართველოს მთავრობას ამ ბრძოლაში მხარს არ დაუჭერს, იგი მისი წინააღმდეგია, იგი წინააღმდეგია მთელი ამიერ-კავკასიის დემოკრატიისა, იგი მტერია ამიერ-კავკასიის ყველა ერებისა. ვინც დღევანდელ პოზიციებზე გაჩერებას წამოაყენებს შერიგების საფუძვლათ, მას მშვიდობიანობა კი არ უნდა, მას „დაშნაკცუთიუნის" გამარჯვება უნდა. „ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენს წინააღმდეგ არის" გავიმეორებთ ჩვენ მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას სიტყვებს.

## ბორჩალოს მოღალატენი

როგორც შტაბის ცნობებიდან ვტყობილობთ, ჩვენი ჯარის მოქმედებას საგრძნობლათ აფერხებს ბორჩალოს მაზრის სომხურ სოფლების მოღალატური მოქმედება. როგორც ნამდვილ მოღალატეებს სჩვევია, სომხის სოფლები ფხიზლათ ადევნებენ თვალყურს ჩვენი ჯარის და გვარდიის მოძრაობას და მუხანათურათ ესხმიან ზურგიდან ხან ერთს, ხან მეორე ალაგას. იფუჭებენ რკინის გზას, ტელეფონს და ტელეგრაფს, ანგრევენ ხიდებს.

საქართველოს მთავრობას ბეწვის ოდენა საბუთიც კი არ მიუცია ჩვენში მცხოვრებ სომხებისათვის, რომ მათ თავი ისე ეგრძნოთ, როგორც არა ნამდვილ მოქალაქეთ. არა თუ ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებ სომხებს ეპყრობოდა ლოიალურათ ჩვენი მთავრობა, თვით არარატის რესპუბლიკის ქვეშევრდომთათვისაც არ მოუკლია მას მზრუნველობა. მაგრამ, ეტყობა, ადამიანურ მოპყრობას მოღალატეთადმი სრულიად შეუფერებელი ნაყოფი მოაქვს. ის სომხობა, რომელიც დაშნაკცუთიუნის პარტიას მისჩანჩალებს, ბოროტათ იყენებს ჩვენი მთავრობის ლოიალობას და მისი ლმობიერება ისე ესმის, როგორც მთავრობის სისუსტე და უმწეობა.

დღემდის დაშნაკელები და მათი მიმდევარი სომხები ფარულათ მოქმედებდნენ. ეჭვი არ არის, ისინი ორგანიზაციულათ იღებდნენ მონაწილეობას დუშეთის და ცხინვალ-საჩხერის აჯანყებაში, მანგლისის და თეთრწყაროს ამბებში, ძეგვის ხიდის აფეთქების მოწყობაში.

დღეს კი პირბადე საბოლოოთ ჩამოიხსნეს და თავისი ნამდვილი სახე დაგვანახვეს. ომის დაწყების პირველ ხანებში, როცა მათთვის ხელსაყრელი იყო ჩვენ საზღვრებზე ქურდული თავდასხმა, მათ უზუნლიარიდან დაიწყეს გლეხთა ამბოხების მოწყობა და თავის მოღალატურ მოქმედების დასამალავათ ჩვენი ჯარისკაცების უწესო მოქმედება მოიმიზეზეს. თანაც განაცხადეს: ამბოხება მიმართულია ადგილობრივ ჯარის ნაწილების და არა საქართველოს მთავრობის წინააღმდეგო. დღეს მალულობის თამაშის გაგრძელება შეუძლებელი გახდა თვით დაშნაკელებისათვის და ეს უკანასკნელებიც სისტემატიურ აჯანყებების მოწყობას შეუდგნენ: მთელი ბორჩალოს მაზრის ტერიტორია, სადაც კი ბრძოლა სწარმოებს სომხეთის და ჩვენ ჯარებს შორის, სომხურ სოფლების აჯანყების ასპარეზათ არის გადაქცეული.

ორი კვირის გამოცდილებამ უნდა დაგვარწმუნოს, რომ სომხის სოფლები სანდო არ არის იქ, სადაც ომის ასპარეზია და ჩვენმა ჯარმა არ უნდა უცადოს, სანამ ეს სოფლები არ აჯანყდებიან და საქმით არ დაამტკიცებენ მოღალატეობას: დღესვე ყველა სოფელში უნდა ჩააყენოს მთავრობამ საგანგებო რაზმები და ყოველგვარი ზომები მიიღოს ღალატის თავიდან ასაცილებლად. ხოლო იმ სოფლებში, რომელნიც უკვე აჯანყდნენ, უნდა გატარდეს დაუყოვნებლივ პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, რომელიც მოითხოვს მოღალატეთათვის მთელი ქონების კონფისკაციას. ყოველი ბოროტება დროზე უნდა იქნას დათრგუნული, მოღალატეობის თვით შესაძლებლობაც კი სათავეშივე აღმოფხვრილი.

საგანგებო გარემოება საგანგებო ზომების მიღებას ითხოვს და ეს ძალავე უნდა ვაგრძნობინოთ ჩვენს მტრებს.

მაგრამ არ კმარა მარტო ბორჩალოს ალაგმვა. ჩვენ ვიცით, რომ ბორჩალოს თფილისიდან უმაგრებენ ზურგს: აქ აგროვებენ მოხალისეებს და იარაღს, აქედან ეხმარებიან ფულით. სომხის ბურჟუაზია მუყაითად მუშაობს. თუ გაიმარჯვებს სომხეთი, სომხის ბურჟუაზია დიდს მოსაგებს ნახავს, მაგრამ ის ბევრს არაფერს დაჰკარგავს არც იმ შემთხვევაში, უკეთუ გამარჯვება საქართველოს ერგება.

ჩვენი ვალია ადგილობრივი სომხის ბურჟუაზია დავსძრათ ამ თბილ ადგილიდან და მასაც ვაგრძნობინოთ, თუ რისი ღირსია ის ორპირობის და მოღალატურ მოქმედებისათვის.

ზოგიერთ იფიქრებს, ვითომ სომხეთი მხოლოდ ბორჩალოს მაზრის ნაწილს და ჯავახეთს გვედავებოდეს: ომი სომხეთის მხრივ ეს არის საღვთო ომი სომხის პლუტოკრატიის და კლერიკალიზმის საქართველოს დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართული.

ამიტომ არავითარ სასასტიკეს არ უნდა მოვერიდოთ, რომ შეპოხილ რეაქციონერებს ღირსეული პასუხი გავსცეთ.

ციხე შიგნიდან ტყდება. უნდა გავამაგროთ ეს ციხე და ავლაგმოთ ის, ვინც ჩვენთან არ არის.

## პ რ ე ს ა

ჩვენ ბურჟუაზიას ფულის გაღება მოვთხოვეთ და ჩამორთმევითაც დავემუქრეთ.

„ტიფლ. ლისტოკს" ეს არ მოსწონს:

„არ ფიქრობს განა გაზეთი, რომ ამ შემთხვევაში მას დასჭირდება ძალა დაატანოს სომხებს ფული გაიღონ... სომხეთთან ომისათვის? შეიძლება ასე კითხვის დაყენება ძალიან დემოკრატიულიც იყოს, მაგრამ რომ იგი გამოწვეულია არა კეთილგონიერებით და საერთოთ ადამიანის ნაციონალური გრძნობისადმი პატივისცემით, არამედ თავისებური გაგებით ადამიანობისა და სამართლიანობისა, ამაში არ გვგონია ეჭვს შეტანა შეიძლებოდეს. ძალიან ორიგინალური და სამართლიანი: როცა ლაპარაკია სოც. დემ. პარტიაზე, მაშინ მხარს უჭერენ იმ აზრს, რომ იგი არის ნაციონალური, მაგრამ, როცა ლაპარაკობენ ბურჟუაზიაზე, მაშინ ეროვნებას ანგარიშს არ უწევენ".

მაშ ასე: სომხის ბურჟუაზია უნდა იჯდეს თფილისში, რომელსაც ჩვენი ჯარი იცავს და არარატის სახელმწიფოს კი მოეხმაროს?

ჩვენ აქ სახელმწიფო გვაქვს და არა ნაციონალურ-კულტურული ავტონომია. ეს, ალბათ, დაავიწყდა „ტიფლ. ლისტ."-ს. ჩვენ კი ვიმეორებთ: თუ სომხის ბურჟუაზიას არ სურს ჩვენს სახელმწიფოს დაეხმაროს ომში, ცხადია, იგი მტერია ჩვენი რესპუბლიკის. მტერს კი შიგნით სახელმწიფო ვერ მოითმენს. ამიტომ ჩვენი პირობა მარტივია: ან მოქალაქობრივი ვალის შესრულება, ან საზღვრებიდან გაძევება. მესამე გზა არ არსებობს.

* * *

„მშაკი" (№ 285) სწერს:

„ამიერ-კავკასია ამ ხანებში წარმოადგენს ბალკანეთის ყველაზე ცუდ მაგალითს. ურთიერთმა დავამ მიიღო დიდი შეტაკების ხასიათი.

„ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ახლანდელი შხამიანი ჰაერის გასაწმენდათ საჭიროა მოწვეულ იქნას ამიერ-კავკასიის კონფერენცია და იპოვოს შეთანხმების ხაზი სადავო და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხების შესახებ. დღეს ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ ის საკითხები, რომლებიც უნდა დაუყოვნებლივ გადაიჭრას ამ კონფერენციაზე. სხვაფრივ არ შეიძლება ცოტაოდენ ნორმალური ცხოვრების შექმნა ჩვენში. პირველი საკითხი,—ეს არის საზღვრების საკითხი სამ რესპუბლიკებს შორის, რომელიც არის ომის საბაბი. ეს იმისთანა საკითხია, რომლის გადაჭრა ძალიან ადვილია. ამისთვის საჭიროა, რომ საკითხს მივუახლოვდეთ დემოკრატიის ინტერესების თვალსაზრისით და არ გაგვიტაცოს ტერიტორიალურმა კრეტინიზმმა და ერთი ბეწო მიწისთვის ჩვენი ხალხი არ ვამყოფოთ საშინელ დღეებში, გავუნადგუროთ მისი

# დ ღ ე ს

**შულავერის და დავეტ ხაჩინის რაიონში 24 დეკემბრიდან მტერთან ბრძოლაა დანარჩენ ფრონტებზე სიწყნარეა.**

—

**საგანგებო რაზმმა თფილისში რამდენიმე ათეული პირი დააპატიმრა რომლებიც სომხეთის ჯარისთვის მოხალისეთა რაზმებს ადგენენ. სომხეთის რესპუბლიკის ქვეშევრდომი სომეხი ახალგაზრდები რომლებიც სამხედრო ტყვეებათ არიან გამოცხადებულნი, რუსთა ეროვნულ საბჭოს მიმართავენ და სთხოვენ რუსეთის ქვეშევრდომებათ ჩასწერონ ისინი.**

—

**ეკატერინოსლავი გარშემორტყმულია უკრაინის საბჭოთა მთავრობის ჯარების მიერ.**

—

**მოკავშირეთა ჯარები იმ შემთხვევაში შევლენ ბერლინში, უკეთუ იქ ანარქიამ იჩინა თავი.**

—

**ბელგიის პალატის მიერ მიღებული სამხედრო კანონ პროექტით ბელგიის ჯარი იქნება მშვიდობიანობის დროს ახი ათასი კაცისაგან შემდგარი, ომის დროს—350 ათასი.**

---

ეკონომია და სისხლით შევღებოთ ეს მიწები. ამისთვის კი საჭიროა გავიგოთ ამ მიწებზე მცხოვრებ მოსახლეობების ნება, ვინაიდან ეს მცხოვრებნი საქონელი არ არის და მეორეთ, რომ უნდა გვქონდეს ცოტათი მაინც ურთიერთ შორის კეთილგანწყობილება. კონფერენციამ, რომელიც თავისუფალი იქნება გარეშე გავლენისაგან, უნდა გადასჭრას საბოლოოთ საქართველოს, სომხეთის და აძერბეიჯანის საზღვრების საკითხი.

„სადავო ოლქების მცხოვრებთა დატოვება გამოურკვეველ მდგომარეობაში, თუნდ დროებით, ნიშნავს ახალ მორიგ-მოქმედებისთვის გზის გაღებას. მაგრამ საზღვრების საკითხის გადაჭრით არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ. ამიერ-კავკასიის სამ რესპუბლიკებს არ შეუძლიანთ იცხოვრონ ერთმანეთისაგან განცალკევებულათ იმგვარათ გაყოფილი კედლებით, როგორშიაც იმყოფებიან ამ ჟამად. ეს გარემოება ჩვენ მოგვაგონებს საშუალო საუკუნოების დღეებს, იმ დროის ეკონომიურ და სავაჭრო ურთიერთ დამოკიდებულებას თავის ფეოდალურ დაბრკოლებებით და კედლებით. მართლა რომ შექმნილია ურთიერთ დამოკიდებულებების და მიმოსვლის იმისთანა აუტანელი პირობები, რომელიც თანდათანობით აფერხებს ჩვენი ცხოვრების ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას არა თუ წლობით, არამედ მთელი საუკუნოებით.

„ჩვენი ცხოვრების მთავარი მოთხოვნილებაა, რომ ეს სამი რესპუბლიკები შეიკრან ერთმანეთთან ეკონომიურ და პოლიტიკურ მჭიდრო კავშირებით. ესეც კონფერენციისთვის პირველი ხარისხისა და ძირითადი საკითხთაგანი არის და დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას. თუ რანაირ ფორმას მიიღებს სამი რესპუბლიკების კავშირი, თუ რანაირ უფლებრივ და პოლიტიკურ გარემოებებში უნდა იმყოფებოდეს ეს რესპუბლიკები ამ საკითხს ჩვენ ვეცდებით ვუპასუხოთ შემდეგში“.

—

„მშაკი“ ამ ჟამათ იწყებს იმის განმეორებას, რასაც დღემდე დაშნაკელები ქადაგებდნენ და რამაც დღევანდელი ომი გამოიწვია.

არა გვგონია ამან შექმნას პირობები ომის შესაწყვეტად და ზავის ჩამოსაგდებათ.

კონფერენცია და არბიტრაჟი იყო ჩვენი ბრძოლის საგანი, და დაშნაკელებმა ეს უარყვეს. მათ ომი მოგვახვიეს თავზე. გაზეთს თუ მართლა სურს ზავი და არა მხოლოდ ლამაზი ფრაზების წამოსროლა, უნდა თავდამსხმელების ალაგმვაზე იზრუნოს. დაშნაკური პოლიტიკის გაკოტრება მოგვცემს საშუალებას დემოკრატიასთან დემოკრატიული ენით ვილაპარაკოთ. დღეს კი, როცა ბურჟუაზიულ-დაშნაკური რეაქცია ხიშტით კარს მოგვადგომია, და განადგურებას უქადის დემოკრატიის სისხლით მონაპოვარს, ჩვენი ერთად-ერთი საზრუნავი საგანია—მათი იერიშების მოგერიება, მათი შეიარაღებული ძალის გატეხა. .

„მშაკი“ უკვეთესს იზამდა, რომ აჯანყების მომწყობთა ბორჩალოს მაზრაში ურჩევდეს „ზავის“ გზაზე დადგომას, ე. ი. იქაურ გაბრიყვებულ დემოკრატიას მოიყვანდეს გონიერებაზე. საქართველოს მებრძოლი და ინტერნაციონალური იდეებით გამჭვალული დემოკრატია კი თავს არავის დაესხმის. და თუ „მშაკს“ ეს ავიწყდება... ჩვენც მისი ქადაგება უნდა გადავცეთ სხვა, უფრო ხელსაყრელ ერთისათვის...

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ველით „მშაკის“ ხელმძღვანელთაგან იმ ამბების გაშუქებას, რომელსაც აჯანყება და მოღალატეობა ეწოდება და რომელსაც ასე გაშმაგებით სთესენ სომხის ხალხში დაშნაკელი პროვოკატორები.

---

# ბრძოლის ველი

(სამხედრო შტაბის ცნობა).

შულავერის და დავეტ ხაჩინის რაიონში გუშინდლიდან მტერთან ბრძოლა აქვს ჩვენს ჯარს. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

**როდის დაიწყო ომი სომხეთის მთავრობამ?**

გუშინდელ „ბორბაში“ მოთავსებულია ბრძანება № 603 სომხურ ლორის მაზრისადმი, 13 დეკემბრის თარიღით, სადაც, სხვათა შორის, შემდეგი სწერია: „ქართველ ჯარებს უკავიათ სოფ. ვორონცოვკა და პრივოლნოე. თანახმად მთავრობის დადგენილებისა, სამხედრო მინისტრმა ბრძანა, დაკავებულ იქნას ლორი და ბორჩალოს მაზრა მდ. ხრამამდე“.

შემდეგ ჩამოთვლილია, თუ როგორ უნდა იმოქმედოს სომხის რაზმმა, ვიდრე ქართველ ჯარს ტყვეთ არ ჩაიგდებს ხელში. ბრძანებას ხელს აწერს რაზმის უფროსი პოლკოვნიკი ტერ-ნიკოლოსოვი და შტაბის უფროსი, პოდპორუჩიკი დარზეიანცი. ეს ბრძანება აღმოაჩნდა ჯიბეში ჩვენი ჯარების მიერ ტყვეთ წამოყვანილ სომეხ აფიცერს.

---

# გერმანიის დელეგაციის ცნობები

თფილისი, 25 დეკემბერი.

გემი „ვარნა“ ხვალ გავა ფოთიდან გერმანელთა უკანასკნელი ტრანსპორტით. სამხედრო მასალა, ჯავშნიანი ავტომობილები, ფურგონი და სხვა, რის წაღებაც ძნელი იყო, მიჰყიდეს საქართველოს მთავრობას.

გუშინ ახალმა რადიო-სადგურმა ნავთლუღში (მთავარი სადგურია) მიიღო პირველი დეპეშა ბერლინიდან. ამ სადგურს პირდაპირი კავშირი (ე. ი. ფოთსა და ნიკოლაევს გარეშე) აქვს კენიგს—ვუსტენ-ჰაუზენთან, რომელიც ბერლინს დაშორებულია 25 კილომეტრით. რადიო სადგური ნაუენიც ამ სიშორეზე (25 კილომეტრი) მდებარეობს ბერლინიდან.

ბერლინში და საერთოდ გერმანიაში ამ ბოლო დროს წესიერება არ დარღვეულა. დამოუკიდებლებში განხეთქილება მოხდა. „სპარტაკის“ ჯგუფი უმცირესობაშია. უმრავლესობა მისდევს ჰააზეს.

გერმანიაში სწარმოებს წინასწარი კამპანია სრულიად გერმანიის დამფუძნებელ კრებისთვის. არჩევნები დანიშნულია 19 იანვარს.

მოკავშირენი შევლენ ბერლინში იმ შემთხვევაში, თუ იქ ანარქია გაძლიერდა. დელეგაციის წევრის კერძო აზრია, რომ ინგლისელებს სურთ კავკასია ბაზისად გაიხადონ ბოლშევიკებთან ბრძოლაში.

---

# დაშნაკელთა ომი

**ღმერთი და მეგობარი,**

**გული და სუფრა.**

სომხებს ჰქონიათ ერთი ანდაზა:

— მეგობარი თუ კარგი იყოს, ღმერთს ეყოლებოდაო.

მე დარწმუნებული ვარ, ეს ანდაზა დაშნაკცაკანების გამოგონილია.

და როგორც ყოველივე სხვა „გამოგონება“ ამ ხალხისა, ესეც სომხის ერის სამტროდ არის მიმართული.

ჩვენ ხომ საუცხოვოდ ვიცით ამ სოიცარი პარტიის რევოლიუციური და სოციალისტური „პროგრამა-მაქსიმუმი“.

მისი ორად-ორი მუხლი ასე ჰღაღადებს:

**მუხლი I.** პარტია „დაშნაკცუთიუნი“ მიზნად ისახავს თვისი მშობელი ერის სავსებით განადგურებას და სამარადისოთ ალგვას პირისაგან ქვეყნისა.

**მუხლი II.** ამ მიზნის მისაღწევად პარტია არ ზოგავს თავის ძალღონეს და ცოდნა-გამოცდილებას და არ ერიდება არავითარ საშუალებას, რა ზნეობრივი ღირსებისაც უნდა იყოს იგი.

ამ პარტიას ტყუილად უკიჟინებენ მერყეობას, შენ-ჩემობას, უპრინციპობას, ლაქიობას...

იგი მშვენივრად ასრულებს თავის მოვალეობას და პირდაპირ, შეურყევლად მიდის მიზნისაკენ.

ნახევარზე მეტი გზა განვლო კიდევ მან და ჭეშმარიტად სრულის სიმაყით შეუძლია განაცხადოს ქვეყნის წინაშე:

— მე ამოვაწყვეტინე ორი მესამედი სომხის ხალხისა... დამრჩა კიდევ რაღაც ერთი მესამედი!

მართლაც და, რა არის რაღაც ერთი მესამედის ამოწყვეტინება ამ დახელოვნებულ ერიქეტია პარტიისათვის!..

აი, ეს ანდაზაც:

— მეგობარი თუ კარგი იყოს, ღმერთს ეყოლებოდაო.

ეს ხომ ჩინებული საშუალებაა დაშნაკცუთიუნის პარტიის მიზნისათვის.

ერთად ერთი გულწრფელი მეგობარი ჰყავდა სომხის ხალხს—ქართველი ხალხი.

ეს მეგობარი ძმურად იფრდომებდა ლტოლვილი ერის შვილებს, ბინასა და საზრდოს აძლევდა მას გაჭირვების დროს, და სასიკვდილო განსაცდელის ჟამს თავის მკერდს უშვერდა ხოლმე სომხის ხალხის მტერსა...

მაგრამ—მეგობარი თუ კარგი იყოს, ღმერთს ეყოლებოდა:

ქართველი ხალხის მეგობრობა ხელს უშლიდა დაშნაკელთა პროგრამის განხორციელებას—სომხის ერის ჟლეტას და ამას, რა თქმა უნდა, ვერ მოითმენდნენ დაშნაკცაკანები.

მართალია ზოგჯერ, როგორც, მაგალითად, ოსმალებისაგან ბაქოს დარბევის შემდეგ, როცა იქაურმა ქართველებმა მრავალი სომეხი გადაარჩინეს საზარელ სიკვდილს, ჯამალიანებმა მხურვალე მადლობას უცხადებდნენ ქართველ ხალხს, მაგრამ აქ მართლდებოდა მეორე ანდაზა, რომელსაც აგრეთვე სომხის ხალხს აწერენ, ხოლო ჩვენი ღრმა რწმენით, იმავ დაშნაკელებს ეკუთვნის:

— ჩემი გული სუფრა ხომ არ არის, რომ წინ გაგიშალოო!

მართლაც და, აბა ჯამალიანის გული სუფრა ხომ არ იყო, რომ ჩვენს წინაშე გაეშალა:

ბაგეთა მიერ მხურვალე მადლობას გვეუბნებოდა:

— სომხის ხალხი ვერ დაივიწყებს იმ დაუფასებელ ამაგს, ქართველებმა რომ მაშინ სომხებს დასდესო,

— ეს აუნაზღაურებელი სამსახური იმის თავდებია, რომ არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც ამ ორი ხალხის კეთილგანწყობილებისა და წრფელი მეგობრობის დაშლა შეეძლოს—ესრედ იტყოდა ჯამალიანი ბაგეთა მიერ, ხოლო გულისა შინა თვისსა ესრედ ზრახვიდა:

— ჰეგ-ჰეგ ჰეე! ჩემი გული სუფრა ხომ არ არის? რომ ამ გიჟ ვრაცუებს არ შეეშალათ ხელი—ორი ათასი სომეხი ზედმეტი მოიკლებოდა!.. დამაცადეთ, ჰე ჰე ჰე!.. სიტყვით ეს მადლობა იყოს, ხოლო საქმით... დამაცადეთ ერთი!

ჯამალიანებმა შეასრულეს თავიანთი მუქარა და სომხის ხალხი მუხანათურათ მოუსიეს მის ერთად ერთ მეგობარს ქართველ ხალხს.

დღეს, დაშნაკელებმა სომხის ხალხს ხელი აღებინა უკანასკნელ მეგობარზე და შესამუსრავათ ლალატით თავს დაასხა მას.

მაგრამ „დაშნაკცუთიუნმა უნდა იცოდეს, რომ ვისაც კარგი მეგობრობა შეუძლია, მას კარგი მტრობის ძალაც შესწევს!

ამ „დაშნაკელთა ომის“ შედეგი ყოველი გონიერისთვის აშკარა და ნათელია.

— გამარჯვება საქართველოს დარჩება.

ეს ისევე ნათელი და აშკარაა, როგორც ის დროშა, რომელიც საქართველოს ჯარსა და გვარდიას მიუძღვის წინ ამ ომში.

როგორც შეუძლებელია, სინათლემ არ დათრგუნოს წყვდიადი, მზემ—ღამე, სამართლიანობამ—უსამართლობა, ისევე შეუძლებელია, რომ საქართველოს ძლევამოსილმა ჯარმა არ დაიჩოქოს და არ ალაგმოს თავხედი მტერი!

დემოკრატიული საქართველოს მებრძოლი ჯარი თავის გულშივე ატარებს გამარჯვებას...

იგი იბრძვის ბრწყინვალე მომავლისთვის, მისი ლელო სამართლიანობა და თანაბარი უფლებრივობაა, მისი დროშა—ძმათა შორის კეთილგანწყობილებისა და მყუდრო მშვიდობიანობის თეთრი დროშაა...

— ეს თეთრი დროშაა ჭაღარა ნოე ჟორდანია, დემოკრატიული ერის სპეტაკ ზრახვათა სრული გამომხატველი.

ამ დროშის ქვეშ და ამ დროშისთვის იბრძვის დღეს საქართველო და ამიტომაც გაიმარჯვებს იგი.

ხოლო, რა ასულდგმულებს ჩვენს მტერს?

მისი მომავალი ბნელია, რადგან მას ეფარება დაშნაკცუთიუნის შავი სუდარა, მისი მიზანი ისეთივე ბინძურია, როგორც დაშნაკელების მზაკვარი გული, მისი დროშა მოღალატურად დაღვრილის ძმათა სისხლითაა გასვრილი,

ასეთი დროშა ერს ვერ შემოიკრებს და გამარჯვების სიმბოლოდ ვერ გახდება.

დიაღ, ჩვენ დამარცხება მიგვაქვს სომხის ხალხისთვის, რამდენადაც ეს ხალხი დაშნაკცუთიუნის მონა მორჩილია...

დემოკრატიული საქართველო მოსდრეკს დაშნაკელების სომხეთს, ფეხ ქვეშ გასთელავს მის დროშას და ჩამოახევს სომხის ერის მომავალს იმ სუდარას, ხალხის მტრებმა რომ აფარეს.

და თუ სომხეთი დაინახავს და იწამებს იმ ბრწყინვალე მზეს, რომლისკენაც ჩვენ ვისწრაფვით, იგი კვლავ მოიპოვებს თავის მეზობელსა და მეგობარს.

ეს კია, რომ დაშნაკური ანდაზები უნდა დაივიწყოს და შეიგნოს, რომ

— მეგობარი თუ კარგი არ იყოს, დაშნაკცაკანსაც ეყოლებოდა და

მართალია, გული სუფრა არ არის, მაგრამ თუ სამუდამოთ დახშე და მოყვარესაც არასოდეს გაუშალე, შიგ ისეთი შმორი დადგება, როგორიც ეხლანდელ სომხეთში ტრიალებს.

თაგუნა.

---

მორიგების და 50 მილიონიანი 5%-ანი სესხის კანონთა საბოლოო ტექსტებს, რასაც პარლამენტი ამტკიცებს.

სახელმწიფო ღერბის კანონ პროექტის შესახებ მომხსენებელია კ. მაყაშვილი (ხელოვნების კომ. წევრი): როგორც მოგეხსენებათ პარლამენტმა მიიღო კანონი სახელმწიფო ღერბისა, მაგრამ რადგანაც გამოხატულება მისი სავსებით სწორე არ იყო, მთავრობამ დანიშნა კონკურსი და მოიწონა ერთი (შარლემანის მიერ შესრულებული) ეს ნახატი ხელოვნების კომისიამაც მოიწონა მცირე ცვლილებებით.

რაც შეეხება რესპუბლიკის მთავრობის შტანდარტს და ჩვენ სამხედრო დროშას—ესეც მოწონებულია ხელოვნების კომისიის მიერ.

კანონ პროექტი სახელმწიფო ღერბის, სამხედრო დროშის და მთავრობის შტანდარტის შესახებ ძალაში შედის დღიდან მიღებისა.

პარლამენტმა კანონ-პროექტები მიიღო.

**თავმჯდომარე** აცხადებს, რომ ვინაიდან ეხლა მოხდება დაკრძალვა ბრძოლაში დაღუპულ გვარდიელთა და დეპუტატებს სურთ დაკრძალვას დაესწრონ სხდომას ვწყვეტო.

---

# საქართველოს პარლამენტი

24 დეკემბრის სხდომა.

სხდომა იხსნება 12 ს. და 20 წ. თავმჯდომარეობს **ნ. ჩხეიძე.**

მდივანი **დ. ონიაშვილი** კითხულობს დღის წესრიგს.

**შ. ამირეჯიბი** (სარედაქ. კომ. წევრი) კითხულობს მტრის დახმარებისთვის ქონების ჩა-

---

# ქვევის ხიდის აფეთქების საქმე

მეოთხე დღე, 24 დეკემბერი.

**სხდომა დაიწყო 11 ს. 45 წ.**

გამოწვეულნი არიან ზოგიერთი უკვე დაკითხული მოწმეები. მომჩივანი და დამცველები ზოგიერთ მოწმეების ხელ-ახლა დაკითხვაზე უარს აცხადებენ.

სამოქალაქო მომჩივანი ქავთარაძე შუამდგომლობს გამოწვეულ იქნას სამი დამატებითი მოწმე: ჩალხუშიანის პარტიული მრწამსის დასამტკიცებლად დამცველი შუამდგომლობს გამოწვეულ იქნას მოწმედ დავიდხანიანი.

სასამართლომ ორივე მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

**ბრალმდებელი** ეკითხება ფაჩულიას: ჩხრეკის დროს თქვენ კუჩარიანცს ფიტილი უნახეთ თუ არა?

**ფაჩულია.** არ მახსოვს.

ხელახლა გამოიწვიეს მოწმე **ყურულაშვილი.**

**ქავთარაძე.** თქვენ გუშინ სთქვით, რომ კუჩარიანცი ხშირად დადიოდა თქვენს სახელოსნოში და პატრონტაშებს გაკეთებინებდათ. რათ უნდოდა ამდენი პატრონტაშები?

**მოწმე.** ეს იმ დროს იყო, როცა აქ სომხის ჯარები იყო. მას მოჰყავდა ნაცნობი აფიცრები და ჯარისკაცები.

**ქავთარაძე.** რატომ მაინც და მაინც კუჩარიანცი დადიოდა თქვენთან და მოჰყავდა აფიცრები, ჯარისკაცები?

**მოწმე.** ის იყო მანთაშევის ქარვასლის უფროსი, იარაღების და სხვა საწყობების ზედამხედველი.

**ქავთარაძე.** მოიგონეთ თქვენ,—როცა კუჩარიანცი შეგხვდათ ერევნის მოედანზე პირველად,—რა გითხრათ?

**მოწმე.** ჯერ მითხრა: შენ ჩემთან წამოდი მცხეთა-დიღომში. გზაც იცი და ქართულიც კარგათ იციო. მე ვკითხე: რატომ მეთქი? მან მითხრა სურსათის სასყიდლათ მივდივარო.

**თავმჯდომარე.** თქვენ, კუჩარიანცო, კატეგორიულად აცხადებთ, რომ სურსათის სასყიდლათ მიდიოდით?

**ბრალდებული კუჩარიანცი.** მე თუ იაფად ვიშოვიდი ვიყიდდი, თუ არა და გავისეირნებდი.

**თავმჯდომარე.** 120 მანეთი ფული აღმოგაჩნდათ, ასეთი პატარა თანხით რა უნდა გეყიდნათ?

**ბრალდებული.** მე 350 მანეთი მქონდა, მაგრამ ჩხრეკის დროს წამართვეს.

**თავმჯდომარე.** ვინ წაგართვა?

**ბრალდებული.** რამოდენიმეჯერ გამჩხრიკეს და ახლა რა ვიცი, ვინ წამართვა?

სასამართლოს წევრი **ს. ჯიბლაძე.** როდის გაემგზავრეთ თფილისიდან და რა დროს?

**ბრალდებული.** მე წავედი საღამოთი.

**ჯიბლაძე.** სად მიდით პირველად?

**ბრალდებული.** მცხეთაში მივედ.

**ჯიბლაძე.** სოფ. მცხეთაში, თუ სადგურზე?

**ბრალდებული.** ჯერ სადგურში, შემდეგ მონასტრისკენ წავედი და სოფელში შევედი სურსათის საყიდლათ.

**ჯიბლაძე.** რომელ სოფელში შედით?

**ბრალდებული.** არ ვიცი.

**ჯიბლაძე.** სურსათის საყიდლათ მიდიოდი და რომელ სოფელში შედი, არ იცი?

**ბრალდებული.** არ ვიცი, მე ვმოგზაურობდი: რა გინდათ, არ ვიცი, თუ სხვებს შეუძლია მოგზაურობა მთელ დედამიწის ზურგზე, რატომ მე მცხეთაში არ შემეძლო მოგზაურობა!—გაკვირვებით და თან გაჯავრებით შენიშნა კუჩარიანცმა.

დამსწრეებში ბრალდებულის ამ დაბნეულობამ და წინასწარ ჩვენების და ეხლანდელ ჩვენების შორის წინააღმდეგობამ სიცილი გამოიწვია. ყველა გრძნობდა, რომ კუჩარიანცის ჩვენებაში წინააღმდეგობა გამოწვეული იყო დარიგებით, რომლითაც ბრალდებულმა რიგიანად ვერ ისარგებლა.

შმავონოვი ავათ არის, სასამართლო აცხადებს, რომ ციხის ექიმი იწერება: შმავონოვი ავათ არის, ფეხით წასვლა არ შეუძლია, თუ ფაეტონით, ან ავტომობილით წაყვანილ იქნა, მაშინ სასამართლოში შეუძლია ყოფნა, სასამართლოს [illegible] ექიმმა შეამოწმა და განაცხადა, რომ მეტი არაფერი არ [illegible] მხოლოდ შეიძლება ცივ ბინაზე ყოფნით ავადმყოფობა გაურთულდესო. სასამართლომ დაადგინა პროცესი გაგრძელდეს, ხოლო თუ ცუდათ შეიქნა ბრალდებული, ექიმები იქნან მოწვეული შესამოწმებლათ.

**მოწმე** ტერ მინასოვი, (ექიმი). აცხადებს რომ ის 14 წელია, რაც ჩალხუშიანს იცნობს.

**ქავთარაძე** მისი პოლიტიკური რწმენის შესახებ რას იტყვით?

**მოწმე.** სტუდენტობის დროს მას დაშნაკცაკანს უძახდნენ, რაზედაც ჩალხუშიანი ძლიერ ჯავრდებოდა. ისე, უკანასკნელ ხანებში მის სახლში მე დავდიოდი ცოლის საექიმოთ, მაგრამ პარტიული შეხლა-შემოხლა არ ყოფილა და არ ვიცი რომელ პარტიას ეკუთვნის.

**კანდელაკი** (ბრალმდებელი). წინასწარ გამოძიების დროს თქვენ სთქვით, რომ ჩალხუშიანი დაშნაკცაკანიაო.

აქ მოწმე დაბნეულ პასუხს იძლევა და ცდილობს როგორმე წინანდელს და ეხლანდელს ჩვენებას შორის ძაფი გააბას, მაგრამ ვერ ახერხებს და ამბობს: მე მგონია, რომ დაშნაკელებს უნდა თანაუგრძნობდესო.

**ავეტისიანი** (კუჩარიანცის მოწმე). კუჩარიანცი ერთ-ერთი წევრი იყო მანთაშევის ქარვასლის „ოხრანის“. ის განაგებდა იმ იარაღებსაც, რომლის საწყობი იყო მანთაშევის ქარვასლაში. საერთოდ, ჩვენ მას განსაკუთრებულ დავალებებს არ ვაძლევდით, რადგანაც არ იყო შესაფერი ჭკუის პატრონი კაცი.

**თავმჯდომარე.** როგორი იყო კუჩარიანცის პარტიული მრწამსი?

**მოწმე.** რამდენადაც მე ვიცი, ის თანაუგრძნობდა დაშნაკცუტუნის პარტიას.

**თავმჯდომარე.** თქვენ იცნობდით თუ არა რუბენ ჩალხუშიანს?

**მოწმე.** საერთოდ ჩალხუშიანის გვარეულობას მე კარგად ვიცნობ. როცა პეტროგრადში სომხის საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლას შევუდექი, ჩემი ყურადღება მიიპყრო დონის როსტოვის რაიონში მცხოვრებ ჩალხუშიანებმა, როგორც კლერიკალურ-ბურჟუაზიულ ჯგუფებმა, რომლებსაც არაფერი საერთო არა აქვთ რევოლიუციონერებთან. რუბენ ჩალხუშიანს კი ისე ვიცნობდი.

**თავმჯდომარე.** რუბენ ჩალხუშიანი ეკუთვნოდა თუ არა დაშნაკცუტუნის პარტიას?

**მოწმე.** მე თვითონ დაშნაკცუტუნის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ვარ და შემიძლია ვსთქვა, რომ რუბენ ჩალხუშიანი ჩვენ პარტიას არ ეკუთვნის.

**თავმჯდომარე.** რას ისახავს მიზნად დაშნაკციუტუნის პარტია?

**მოწმე.** მე ამაზე ცოტა უხერხულად მიმაჩნია პასუხის გაცემა, რადგანაც ეს ყველამ იცით. ჩვენი პარტიის პოლიტიკური მიზანი ამიერ-კავკასიის ფედერატიულ ნიადაგზე მოწყობა, ოსმალეთის საზღვრებში კი სომხებისთვის ავტონომიის მიცემა. სოციალიზმის სფეროში კი იმასვე ისახავს, რასაც ყველა სოციალისტური პარტიები.

ამ უკანასკნელმა წინადადებამ დამსწრეებში ღიმილი გამოიწვია.

**თავმჯდომარე** ასეთივე პროგრამა აქვს სამოქმედოთ ოსმალეთში სომხის დაშნაკციუტუნის პარტიას?

**მოწმე.** დიახ!

**თავმჯდომარე** ჩალხუშიანი თქვენ პოლიტიკურ საკითხებში არ გეთანხმებოდათ?

**მოწმე.** ჩალხუშიანი იყო რუსეთის ორიენტაციის, ისე კი უფრო მე მას მივაკუთნებდი კადეტების პარტიას.

**თავმჯდომარე.** სად ხვდებოდით თქვენ ჩალხუშიანს?

**მოწმე.** ფინჯან ჩაიში.

**თავმჯდომარე.** ვის მიერ არის გახსნილი ეს სახაიე?

**მოწმე.** დაშნაკცუტუნის ბიუროს მიერაა ეთ გახსნილი.

**ქავთარაძე.** თქვენ სთქვით, რომ მე ვარ დაშნაკცუტუნის ცენტრალური კომიტეტის წევრი და ვიცი, რომ ჩალხუშიანი ჩვენს პარტიას არ ეკუთვნისო. განა შეგიძლიათ იცოდეთ ყველა თქვენი პარტიის წევრები?

**მოწმე.** ცალ-ცალკე ორგანიზაციებში იციან, ხოლო მე კი ყველას არ ვიცნობ.

**მოწმე მატინოვი** ამბობს, რომ ჩალხუშიანს ერთი წელია ვიცნობ. საჩაიეში შემხვდა სამი ოთხი დღით ხიდის აფეთქების წინეთ და მთხოვა წიგნი, სადაც წერია, თუ, როგორ უნდა საერთოდ აფეთქება.

**თავმჯდომარე.** თქვენ იცით თუ არა პოლიტიკური მრწამსი ჩალხუშიანისა.

**მოწმე** დანამდვილებით არ ვიცი.

სასამართლო იქვეყნებს წინასწარ გამოძიებაზე მატინოვის მიერ მიცემულ ჩვენებას, სადაც ნათლად წერია, რომ მატინოვს უთქვამს—თ, ჩალხუშიანი დაშნაკცაკანიაო.

ეს მოწმეც უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა.

**მოწმე ცხიტიშვილი** (რკინის გზის მოსამსახურე) ციფრებით ხელში ამტკიცებს,

რომ ხიდის აფეთქებამ რკინის გზას აზარალა 499,854 მანეთი.

გეგიძე (რკინის გზის ტექნიკურ განყოფილების უფროსი) ამტკიცებს, რომ ტექნიკური საჭიროებისათვის ხიდის შესაკეთებლად დაიხარჯა 87 ათასი მანეთი.

დასასრულ დაკითხეს ექსპერტ პოლკოვნიკ ქლენტს. მან დაწვრილებით ახსნა, თუ რისთვის იყო საჭირო ესა თუ ის ნივთი, რომელიც დამნაშავეებს მიუტანიათ ხიდის ასაფეთქებლათ.

**ბრალმდებელი.** რით ესაჭიროებოდა სანთელი?

**მოწმე.** სანთელს წაუცხებდენ ფიტილს, რათა ნოტიოს არ გაეფუჭებიაო.

**ბრალმდებელი.** იყო თუ არა ამ საქმისათვის ლუქი საჭირო?

**ექსპერტი.** არ იყო საჭირო.

**ბრალმდებელი.** აფეთქებას მიზნისთვის მიუღწევია თუ არა?

**ექსპერტი.** არა. ამფეთქებლების მიზანი ყოფილა ხიდის სავსებით გაფუჭება.

**ბრალმდებელი.** რამდენჯერ უნდა აფეთქებულიყო, რომ დანარჩენ დინამიტსაც ემოქმედა?

**ექსპერტი.** მგონი ორჯერ.

**ბრალმდებელი.** შეიძლება თუ არა კაცმა, რომელიც აფეთქებს გაიკაწროს ხელები და ფეხები?

**ექსპერტი.** შეიძლება, ეს დამოკიდებულია პიროვნებაზე.

**ბრალმდებელი.** როგორ ეტყობა, ასაფეთქებელი მასალები დამზადებული მიუტანიათ თუ იქ დაუმზადებიათ?

**ექსპერტი.** ყველაფერი ამტკიცებს, რომ წინასწარ გამზადებული ქონიათ ასაფეთქებელი მასალებით.

**ბრალმდებელი.** შესაფერი ცოდნა ჰქონია თუ არა ამ საქმის დამნაშავეს?

**ექსპერტი.** თეორიულად კარგად ყოფილა მომზადებული, ხოლო პრაქტიკული გამოცდილება არ ჰქონია.

**ბრალმდებელი.** რამდენი კაცი უნდა ყოფილიყო?

**ექსპერტი.** სჩანს, რომ ოთხი კაცი ყოფილა.

ექსპერტს კიდევ რამოდენიმე კითხვას აძლევენ, ის ყველაფერზე გადაჭრილ პასუხს იძლევა.

ამით დამთავრდა სასამართლოს სხდომა 24 დეკემბერს.

---

**სასამართლოს დადგენილება.**

23 დეკემბრის სხდომაზე ინჟინერ შმაგაილოვის დამცველმა მოითხოვა საქმის გარჩევის შეწყვეტა, ვინაიდან ეს საერთაშორისო სასამართლომ უნდა გაარჩიოსო. ამის გამო სასამართლომ დაადგინა:

1) ვიღებთ რა მხედველობაში, რომ სასამართლომ სრულებით არ იცის ძეგვის ხიდის აფეთქების აქტი არის თუ არა დადასტურებული ინგლისის მთავრობის მიერ, რადგანაც ამის შესახებ არ არის წარმოდგენილი არავითარი ოფიციალური საბუთები ინგლისის მთავრობის მხრივ, ხოლო პაიკს, გოლშმიდტს და სხვას სასამართლო უცქერის, როგორც კერძო პირთ უცხო სახელმწიფოსისა, რომლებსაც სრულებით არ შეუძლიანთ ექსტერიტორიალური უფლებით ისარგებლონ. 2) მიიღო რა სასამართლომ მხედველობაში, რომ ბრალდებულნი არა თუ არ მსახურობენ ინგლის-საფრანგეთის მისიაში, არამედ—არ არიან ინგლის-საფრანგეთის კოალიციის მოქალაქენიც, და 3) მიიღო რა მხედველობაში აგრეთვე, რომ პაიკი, გოლშმიდტი და სხვები არიან ამ საქმეში არიან წამქეზებელნი, როგორც ეს სჩანს ბრალდებ. შმაგაილოვის და მოწმე გოტოვცევის ჩვენებიდან, ამიტომ ბრალმდებლებს (პროკურორს) ეძლევა უფლება მათ წინააღმდეგაც აღძრან სისხლის სამართლის საჩივარი. ეს გარემოება ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს საქმის მდგომარეობაზე, ამიტომ სასამართლომ დაადგინა საქმის გარჩევა გაგრძელებულ იქნას.

# ქალაქის საბჭოში

ორშაბათი, 23 დეკემბერი.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

სხდომა იხსნება 8 ნახ. საათზე. დაშნაკცუტიუნის ფრაქცია არ მოსულა.

**ნ. ელიავა.** აცნობს საბჭოს, რომ საუბედუროთ სომეხ-ქართველთა შეტაკებამ მიიღო არა ის მიმართულება, რომელიც სურდა დემოკრატიას, არამედ—ომი ფაქტია და დიპლომატიური წარმომადგენელიც წავიდა თფილისიდან. ომი სწარმოებს და სახალხო გვარდიამაც უკვე გაიღო მსხვერპლი. ოცდაოთხ დეკემბერს მოხდება დასაფლავება ომში დაღუპულთა და ქალაქის გამგეობამაც დაადგინა დაესწროს დასაფლავებას და გვირგვინით შეამკოს თვითმართველობის სახელით. საბჭო ფეხზე ადგომით პატივს სცემს ომში დაღუპულთა ხსოვნას და იწონებს გამგეობის დადგენილებას, რომ ალექსანდრეს საავადმყოფოსთან მოწყობილ იქნას 100 საწოლი დაჭრილ მეომართათვის, რომ გადაიდოს 50,000 მან. მეომართა საჭიროებისათვის და რომ ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეებს, რომლებიც ჯარში გაიწვიეს, შეენახოთ ჯამაგირის 50 ან 75 პროცენტი.

შემდეგ დაშნაკელი ზოგიერთი ხმოსნების დაპატიმრების გამო **ნ. ელიავა** აცნობებს საბჭოს, რომ ის იყო გენერალ-გუბერნატორთან, რომელმაც გადასცა მას, რომ, როგორც ხმოსნებს, არავის არ დააპატიმრებენ. რომ დაპატიმრება დაკავშირებულია საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ შეთქმულობასთან.

სომეხ მილიციონერების დათხოვნის გამო ნ. ელიავა აცნობს საბჭოს, რომ მილიციის უფროსმა მას მოახსენა, რომ ის მოქმედებდა მთავრობის ბრძანებით, რომელიც შეეხებოდა იმას, რომ საპასუხისმგებლო ადგილებზე არ ყოფილიყვნენ არა ქვეშევრდომნი რესპუბლიკისა. დათხოვილია 150 მდე სომეხი მილიციონერი. ქალაქში წესრიგი კარგია.

რადგანაც ტიფის ეპიდემიაა, ქალაქის საავადმყოფო 300 საწოლით გაადიდეს. აქამდე ავად გამხდარა 460 კაცი ამ სენით. მასთან საბრძოლველათ გამგეობამ გამოიმუშავა მთელი რიგი ზომებისა.

საბჭომ დაამტკიცა გამგეობის დადგენილება, რომ ქალაქის მოსამსახურეებს მიეცეთ „პურის დამატება“ მთლიანად.

შემდეგ საბჭომ განიხილა წვრილმანი საკითხები და გადავიდა მომრიგებელ მოსამართლეების არჩევაზე. ნ. ელიავა აცნობს საბჭოს, რომ სარეკომენდაციო კომისიამ მუშაობა დაამთავრა და საჭიროა არჩევნები მოხდესო. მ. რუსია აღნიშნავს, რომ დრო არ ითმენს და საჭიროა ნაწილი მაინც აირჩესო, მაგრამ რადგანაც ქვორუმი აღარ იყო დარბაზში, არჩევა გადაიდო შემდეგ სხდომისთვის.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

25 დეკემბერი.

**ბოლშევიკების ცნობები.**

**მოსკოვი.** 23 დეკემბერი. კურსკი. ბელგოროდი უკრაინის საბჭოთა ჯარმა დაიჭირა. რკინის გზა და ტელეფონოგრაფი ბელგოროდსა და კურსკის შუა აღდგენილია. ეკატერინოსლავი უკრაინის საბჭოთა მთავრობის ჯარის მიერ გარს შემორტყმულია და მოწყვეტილია კიევსა და დონს. კიევის მიმართულებით აღებულია სადგური გორიაჩნო, ქალაქი კამენკა და ზაპოროჟიე. **ნაუენი.** 23 დეკემბ. ბელგიის პალატამ სამხედრო კანონპროექტი მიიღო: თვით ბელგიაში (ახალშენების გარდა) უნდა იყოს მშვიდობიანობის დროს 100,000 კაცისაგან შემდგარი ჯარი, ომის დროს კი 350,000 კაცისაგან.

**გერმანული პრესის ცნობები.**

გაზეთების ცნობა, რომ პოლონეთმა დანციგის ნავთსადგურში ჯარი გადმოსხა, სიმართლეს არ შეეფერება.

დროებითი ზავის საერთაშორისო კომისიის საერთო სხდომაზე ქ. სპაში გენერალ ნიუდანტმა განაცხადა, რომ გენ. მაკენზენის ჯარს იარაღი აჰყარეს და დააკავეს მარშალ ფოშის განკარგულებით. გერმანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ფელდმარშალი მაკენზენი თავისი ნებით დაუმორჩილდა და გერმანიის მიერ 11 ნოემბ. ამის გამო გაგზავნილ პროტესტს მხარს დაუჭერენ. გერმანიის წარმომადგენელნი გადაჭრით უარყოფენ საფრანგეთის წარმომადგენელთა მეთაურს იმ ბრალდებას, ვითომ გერმანული ჯარები ბოლშევიკებს ეხმარებოდნენ ბალტიის მხარის ძლებაში და ესტონელთ ხელს უშლიდენ.

მარშალ ფოშის ნოტა აღმოსავლეთ პრუსიაში სამხედრო ტყვეებისადმი სასტიკ მოპყრობის შესახებ დროებითი ზავის საერთაშორისო კომისიას გადაეცა. გერმანიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას ამ საგანზე მთავრობის პასუხი უნდა ჰქონდეს და მიუთითა იმ ფაქტზე, რომ თუ მოკლე ხანში გადააგზავნიან ტყვეების დიდ უმრავლესობას, მაშინ არასასიამოვნო და არასასურველ ინციდენტს ექნება ადგილი. გერმანიის მთავრობას ბევრი საბუთი აქვს იმისა, თუ როგორ ეპყრობოდნენ საფრანგეთში სამხედრო ტყვეებს და ამ საბუთებს ის სამშვიდობო კონფერენციას წარუდგენს განსახილველათ.

საფრანგეთმა მოითხოვა, რომ რეინის მარჯვენა მხარის ოლქებიდან ეღზას ლორენს მიაწოდონ ნედლი მასალა. საფრანგეთის მთავრობის წინადადებით ამის შესახებ 23 დეკემბერს ლიუქსენბურგში მოლაპარაკება გაიმართება მარშალ ფოშის მიერ დანიშნულ გენ. მერსიერისა და გერმანიის კომისიის შორის.

21 დეკემბერს ფრიდრიხსჰაინში დაასაფლავეს ბერლინის ჩრდილოეთ ნაწილში 6 დეკემბერს მოწინააღმდეგე პარტიათა შორის მომხდარ შეტაკების 14 მსხვერპლი.

პრუსიის ეროვნულ კრებისთვის საარჩევნო კანონის ძალით მთელი პრუსია 23 საარჩევნო ოლქებათაა დაყოფილი, რომლებშიაც უნდა არჩეულ იქნეს 401 დეპუტატი პროპორციონალურ საარჩევნო უფლებით.

# ყოფილი აგენტების საყურადღებოთ!

კანტორა „განათლება“ უკანასკნელათ სთხოვს ყოფილ აგენტებს: მათზე დარჩენილი ვალი, დაუყონებლივ გადიხადონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი სახელი და გვარი გაზეთებში გამოცხადდება და ფულის ასაღებათ შესაფერი ზომები იქნება მიღებული.

პლესკაუში (პსკოვში) ბოლშევიკების საწინააღმდეგო მოქმედებაში მონაწილეობის მიღებისთვის ბოლშევიკებმა 406 გერმანელი დახვრიტეს. დასჯამდე ყველა ისინი გაყვეს რამოდენიმე ჯგუფათ, მათვე გაათხრევინეს საფლავები და თვითეული ჯგუფი მარხავდა მის წინ დახვრეტილ ჯგუფს. მრავალი მცხოვრები დაატუსაღეს იმისთვის, რომ გერმანელების იქ ყოფნის დროს მათ ოფიციალური თანამდებობა ეჭირათ, დატყვევებულთა ბედი გამოურკვეველია.

# ახალი ამბები

**სახალხო გმირთა დაკრძალვა.** თფილისის დემოკრატიამ შესაფერი დიდებით მიაბარა მიწას 32 სახალხო გვარდიელი ეკატერინეფელდში სომხებთან შეტაკების დროს გმირულად დახოცილნი. დიძალი ხალხისა, მილიციისა და გვარდიელთა რაზმების თანხლებით 32 კუბო გაემართა საძმო სასაფლაოსკენ ხუდადოვის ტყეში. პროცესიას თავით ბოლომდე დაესწრო მთავრობის და პარლამენტის მთელი შემადგენლობა. სასაფლაოზე სიტყვები წარმოსთქვეს: პარლამენტის სახელით ნ. ს. ჩხეიძემ, მთავრობის სახელით: ნ. ბ. რამიშვილმა, გვარდიის შტაბის სახელით რუბენ არუშტრიოვმა და სხვამ.

◆ **ყრილობანი.** 29 დეკემბერს მოხდება ყრილობები, საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირისა, ერობათა კავშირისა, მუშათა პროფეს. კავშირებისა, კოოპერატივთა კავშირისა და რკინის გზის მოსამსახურეთა პროფ. კავშირისა.

◆ **სომეხი ახალგაზრდები,** რომელნიც ჯარში არიან გასაწვევნი და სომხეთის რესპუბლიკის ქვეშევრდომებად ითვლებიან, მიმართავენ რუსთა ეროვნულ საბჭოს, რომ ჩასწერონ ისინი რუსეთის მოქალაქეებად.

◆ **საგანგებო რაზმმა** შეიპყრო კაპიტანი კარტაშევი, პოლკ. პრიტამანოვი, გენ. ხ. ჩატუროვი, პოლკ. დოლუხანოვი, არქ. ბენიკი; არუთინიანცი, ოვ. პოლოსოვი, ბარსეგ დემირჩიანცი, ეგია ადამიანცი, ხაჩატურ აგაბეგიანცი, ხ. კაზარიანცი, ნ. მილიუკოვი, აბგარ ოგანესიანცი, არ. სოლოგოვი, მიხ. ფისელკო, ივ. ადონცი, ნიკ. ყორღანოვი, იოს. ხუნუნცი, ნ. საფარიანცი, ლეონ კარტაშევი, ავეტიკ იქმალიანცი, ასტვაცატუროვი, ალ. დრობიშევი, ხაჩატურიანცი, ნიკ. ტერ-არაქელოვი, პ. შაბალიანი, უსიპოვიანცი, ალ. ბუზკოვი, ი. მურადოვი, ა. აპრელოვი, სტ. ხაჩიკიანცი, ჯამაგოსიანცი, ალ. ბარხუდაროვი, პოდპოლკ. ბეკნოვი, ხორენ და კონსტ. ნალბადიანცი. ყველა ამ პირთ ბრალდებათ მოხალისეთა რაზმის შედგენა საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ და დაშნაკცაკანთა პარტიის ლიდერობა.

◆ **გახსრიკეს სომხის საქველმოქმედო საზოგადოება გუშინ** და რამოდენიმე პირი დაატუსაღეს.

◆ **დახურეს სომხების თფილისის საკრებულო** და სახელოსნო კლუბები.

◆ **საქალაქო არჩევნები.** რადგანაც 1919 წლის 1 იანვარს თავდება ქალაქის საბჭოთა ხმოსნების რწმუნებულების ვადა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა ყველა ქალაქის თვითმართველობას შეუდგნენ ახალი ხმოსნების არჩევნებს 24 დეკემბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკი“-ს № 125 გამოქვეყნებულ „ქალაქის თვითმართველობათა ხმოსნების არჩევნების კანონის“ თანახმათ.

◆ **ტრამვაის მოსამსახურეთა** საზოგადო კრებამ 24 დეკემბრის კრებაზე გადასწყვიტა გადასდოს ომის საჭიროებისათვის ჯამაგირიდან ორი პროცენტი, ვიდრე ომი იქნება.

◆ **დიდი თონეთიდან** ამ დღეებში თფილისში ჩამოვიდა 185 სალდათი ვლ. კაკაბაძის და გ. დემეტრაშვილის მეთაურობით. მათში მოხალისეებიც იყვნენ. ორასამდე კიდევ მოელიან. აღსანიშნავია, რომ სოფლელები დემეტრაშვილის პირით მთავრობას უთვლიან: თუ საჭირო იქნება ხუთასამდე მოხალისე კიდევ ჩამოვალთო.

◆ **მეჯვრისხევის** (გორის მაზრა) კოოპერატივმა გადასდო ჯარის საჭიროებისათვის 10,000 მანეთი.

◆ **ლექცია.** 26 დეკემბერს, სალამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია: ინჟ. ალშიბაიას—„ელექტრონი და ორთქლი“, ქ. რაჭველიშვილისა—„მოხსენება მომენტზე“.

◆ **ოსების საზოგადო კრება** ტრამვაის პარკში შესდგება პარასკევს, 27 დეკემბერს, სალამოს 5 საათზე. განსახილველია: თანამედროვე მდგომარეობა; დამოკიდებულება ახლად არჩეულ ოსების ეროვნულ საბჭოსთან და კულტურულ განმანათლებელი საზოგადოების დაარსება.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

დღეს, სალ. 5 საათზე, მეოთხე რაიონის ბიუროს ახალ ბინაზე (ოლღას ქუჩა, № 29), დანიშნულია ამავე რაიონის პარტიის წევრთა სასწრაფო საზოგადო კრება.

— 26 დეკემბერს, სალამოს 5 საათ. შესდგება მესამე რაიონის კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივი კრება.

— დღეს, სალამოს 5 ნახ. საათზე ბიუროს ბინაზე შესდგება ს. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა კრება.

— 26 დეკემბერს, სალამოს 6 საათზე ინსტიტუტის შენობაში დანიშნულია პოლიტექნიკურ ინსტიტუტის ყველა ქართველ სტუდენტთა სასწრაფო კრება.

# საქართველო-სომხეთის ომი

მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშები: **ქუთაისიდან.** ქ. ქუთაისის ადგილობრივი და დროებით აქ მცხოვრები სომხები, რომლებმაც სტუმართმოყვარე ბინა იპოვეს ქუთაისში, რამოდენიმე საუკუნის ვანმავლობაში მეგობარ და მოძმე ორ ხალხთა შორის თავისუფლების რიჟრაჟზე სისხლის ღვრის გამო, პროტესტს აცხადებს და დაბეჯითებით ვთხოვთ ყოველივე საშუალება იხმაროთ, რათა შეჩერებულ იქნეს სისხლის ღვრა და დაუყონებლივ დამყარდეს ძველი მეგობრობა. კრების თავმჯდომარე (გვარი გაურკვეველია).

**სახხერიდან.** საჩხერეში მცხოვრები სომხები აუწერელ მწუხარებას განიცდიან ორ მოძმე ერთა შორის სისხლის ღვრის გამო. გამოვთქვამთ ჩვენს სასტიკ გულისწყრომას არარატის მთავრობისადმი, რომელსაც სათავეში დაშნაკცუტიუნის პარტია უდგას, საქართველოს რესპუბლიკის ჯარების ნაწილზე, როგორც გაზეთებიდან გავიგეთ, ვერაგული თავდასხმისთვის. ასეთი ნაბიჯების შედეგი დამღუპველი იქნება, როგორც ქართველი, ისე სომხის დემოკრატიისთვის და ომის საშინელება ორივე ნორჩ რესპუბლიკას წელში გასწყვეტს და საუკუნოთ ჩვენს შორის განმტკიცებულ მეგობრობას დაარღვევს. მივესალმებით საქართველოს რესპუბლიკას. გვწამს, რომ ის მიიღებს ყოველივე ზომას სისხლის ღვრის შესაწყვეტათ და ამით სომხისა და ქართველ დემოკრატიას განადგურებისაგან იხსნის. გაუმარჯოს საქართველოს და სომხეთის მშრომელ ხალხს—უკანასკნელს თავის მტერ-მოყვარე ეცნოს. ძირს ძმათა შორის სისხლის ღვრა. 71 გლეხის მონდობილობით პავლე ხვითისიევი და დავიდ კაზაროვი.

---

**ნესტორ ფარჯანაძის და ლეონტი ფანცულაიას ხსოვნას.**

ეს ამხანაგები წავიდნენ 17 ამ თვეს სანაინის რაიონში და 21 დეკემბერს ჩამოასვენეს დახოცილნი. ამ უბედურებამ თავზარი დასცა ყველა მის ამხანაგებს. მინდა ამ ამხანაგების წარსულიდან მოკლეთ მოვიგონო შემდეგი: 1905 წ. რკინის გზის სადგურის მოსამსახურეებიდან შესდგებოდა რვა იაჩეიკამდე, როცა თანდათან გაქრა მთავრობის სუსხი, მოვიყარეთ თავი მოწინავე ამხანაგებმა და შევადგინეთ პატარა ჯგუფი. ამ პატარა ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ კონდუქტორები, მეისრეები და კანტორშჩიკები. ვურთდებოდით დეპოს და ვაგონების რემონტის მუშებს. ვმუშაობდით ყველანი, როგორც შეგვეძლო. როცა მეფის ტახტი დაემხო, ეს ამხანაგები მაშინვე სათავეში მოექცნენ მუშათა მოძრაობას, სადაც ენერგიულად ეწეოდნენ მუშაობას. როცა იფეთქა აქა-იქ ბოლშევიკურმა გამოსვლებმა, ისინი ჩაეწერნენ წითელ გვარდიაში და კიდევაც გაემგზავრნენ დუშეთისკენ, იქიდან დაბრუნებულნი ჩვეულებრივ მუშაობას განაგრძობდენ.

17 დეკემბერს საუკეთესო ამხანაგები გაემგზავრენ სანაინისკენ და მათ შორის ნესტორ ფარჯანაძე და ლეონტი ფანცულაია.

დავსტირით ყველა ამხანაგები გულგანგმირულ ნესტორის და ლეონტის გაციებულ გვამს.

თქვენ არ მომკვდარხართ ძმებო ლაჩრულად ბრძოლის ველზე!

თქვენ არ დაგივიწყებთ ისტორია, სადაც აღნიშნული იქნება თქვენი და თქვენი ამხანაგების სახელი, რომელთაც თქვენთან ერთად შესწირეს საქართველოს დამოუკიდებლობას თავი.

ამხანაგების მონდობილობით, თქვენი ძველი წარმომადგენელი, მოხუცი **კოხტა შენგელაია.**

**ქიტა სილიბისტროს ძე [illegible]**

კიტა მოკვდა...

როდესაც ჩვენს [illegible] ხრბოები შემოესია, ის წინა რაზმებში მედგრად იბრძოდა.

და დღეს, როდესაც სომხის ჯარი ვერაგულად თავს დაესხა ჩვენს ჯარს,—ის წინა რაზმებშივე აღმოჩნდა და გმირულადაც დაეცა ბრძოლის ველზე.

მშვიდობით...

**გრიშა დოლიძე.**

**ამხ. მირონ დამ. ჩიხოძიძე.**

გურიის ერთ პატარა ღარიბ სოფელში (ინტაპუეთში) ღარიბ ოჯახში დაიბადა მირონისე. სიღარიბემ ის აიძულა წასულიყო ფოთში, მოეკიდა კურტანი და მით ლუკმა პური ეშოვნა. ფოთს გარდა ის მუშაობს ბალაჯარაში და ბოლოს კი თფილისის საქონლის სადგურში. 1905 წლიდან ის ჩაება მუშათა ფერხულში. ის ვერ გასტეხა რეაქციამ, „იგივე მხნე, იგივე მებრძოლი“ შეეგება ახალ დროს, ახალ ხანას. თავის ვაჟით ჩაეწერა გვარდიელთა რაზმში და ჯავშნოსან მატარებლის რაზმის საუკეთესო მებრძოლი იყო. სანაინთან მუხანათურ ვერაგულ ბრძოლაში დაიღუპა მამა, დარჩა შვილი. თავის საყვარელ ჯავშნოსანში დალია მებრძოლმა სული და იგივე ჯავშნოსანი დარჩა მისი საფლავად. დიდება ვალ მოხდილ მოხუც გმირს.

**ქრისტინესშვილი.**

# თავდაცვის ფონდი

თავდაცვის ფონდისათვის რედაქციამ მიიღო: ათ-ათი მანეთი—სიკო მონასელიძისაგან, გაბო აბულაძისაგან, გუცა ბახუტაშვილისაგან, ვანო შენგელიასაგან, ნესტორ ლომიძისაგან, არჩილ კერესელიძისაგან და სასო ღვანიაშვილისაგან. 30 მანეთი—ვანო ვლ. ლომთათიძისაგან.

# პროვინცია

**ზუგდიდი.** ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო სახალხო გვარდიის დღესასწაული 12 დეკემბრიდან 15 დეკემბრისთვის გადაიდო.

საგანგებოდ არჩეულმა კომისიამ ღირსეულად შეასრულა თავისი მოვალეობა. იყო ცალკე ხორო მოწვეულ მომღერალთა გუნდისაგან. შიგ შუა ბულვარში მშვენივრად შემკული გასავლის კარები იყო მოწყობილი, რომელშიაც სახალხო გვარდიელნი გაივლიდნენ და მის ახლო, რამოდენიმე საჟენის მანძილზე, ტრიბუნა იყო.

12 საათზე სახალხო გვარდიელები ერთი მხრით ს. დემ—ბის და მეორე მხრით კი ს.-ფედერალისტებისა მოადგა გასავლის კარებს და გაჩერდა საგანგებოდ მიჩნეული ადგილას. გვარდიელებს მოჰყვა უკან მთელი ადგილობრივი სასწავლებელთა მოწაფენი მასწავლებელთა შემადგენლობით. მშვენიერი იყო ხორო გიმნაზიელებისა.

დიძალი ხალხი შეგროვდა ამ დღეს ტრიბუნის გარშემო.

თავმჯდომარე ამხ. ი. მუჯირი მიესალმა მოკლე სიტყვით ამხ. გვარდიელებს, განმარტა დღესასწაულის მნიშვნელობა და სახალხო გვარდიელთა როლი დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცებაში და მიტინგზე გამომსვლელ ორატორთა სია გამოაცხადა. ამის შემდგომ გვარდიის ხორომ ჰიმნი იგალობა.

პირველი სიტყვა წარმოსთქვა გვარდიელების წარმომადგენელმა ამხ. მ. ანჯაფარიძემ.

ამხანაგ ანჯაფარიძის შემდგომ ილაპარაკა მაზრის კომისარმა ბაძღუამ.

ს. ფ. სახელით მიესალმა გვარდიას მ. კაკულია.

ერ.-დემოკრატების სახელითაც წარმოსთქვეს სიტყვები. ორატორმა სთქვა: მე, როგორც პრინციპიალური მოწინააღმდეგე სახ. გვარდიისას და მომხრე რეგულიარულ ჯარისას არ შემიძლია ღირსეულად არ მოვიხსენიო სახ. გვარდიელები, მათ მხოლოდ თავიანთი მკლავებით და სისხლით გამოიყიდეს ჩვენი სამშობლო მრავალ მტერთაგანო. ადგილობრივი მერ. რაზმის უფროსმა შავდიამ საუცხოვო მისასალმებელი სიტყვით მიმართა გვარდიელთ. აღსანიშნავია რომ ადგილობრივ ესერებს დღესასწაულში მონაწილეობა არ მიუღიათ. მათი ორატორი ჩაწერილი იყო სიაში, რომელმაც თავი მოიხსნა და გამოუშვა, როგორც გამოირკვა, სალდათის ქურქში გახვეული ვიღაც ბიჭვაია. ადგილობრივი ჯარისკაცთაგან სიტყვის მთქმელის სახით, დაიწყო ბოდვა რაღაც რუმინეთის ფრონტზე და წითელ გვარდიელები დეზერტირთა რაზმად გახადა, რამაც გვარდიელები აღაშფოთა.

როგორც გამოირკვა, ბიჭვაია ყოფილა ზაფხულში „ბანდიტთა“ მეთაური და გბლანდული ესერი. აღსაშფოთებელია ადგილობრივ ესერების ასეთი მოქმედება.

მიტინგის დამთავრების შემდეგ გაიმართა ყულაბებით ფულის მოგროვება. წმიდა შემოსავალი იყო 1196 მანეთი 40 კ., რაც გაეგზავნა მთავარ შტაბს. მანი.

## მუშათა შორის

**თფილისი.** ყველას მოეხსენება რომ ხელზე მოსამსახურენი ძველათ ყველა პროფესიის მუშებზე დაბლა იდგნენ. მათი „პრესტიჟი“ ფართე საზოგადოების თვალში ძალზე დაცემული იყო. შემდეგ იწყეს მოქმედება „სალათის ძალისაგან“ თავის დასაღწევათ. დაარსეს საკუთარი პროფ. კავშირი და ეკონომიური პირობებიც კარგათ გაიუმჯობესეს. მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ხელზემოსამსახურეთა უმრავლესობა დღესაც სხვა მუშებთან შედარებით დიდათ ჩამორჩენილია. ისინი ნაკლებათ ზრუნავენ თვით განვითარებაზე. მათ არ აინტერესებს სულიერი საზრდო, როგორიცაა მაგალითად, ჟურნალ-გაზეთების კითხვა, თეატრი, კრებები, ლექციები და სხ. მათი საქმეა მხოლოდ კარტის თამაში, ღვინო, სამიკიტნოები, ფულების ფლანგვა, და სხვა ათასნაირი ფუქსავატობა. ზოგიერთ მათგანს სასაცილოთაც კი არ ყოფნის საზოგადო საქმე, კრებები და სხვა. მევრჯელ მსმენია უთქვამთ: რა გაგვიკეთა კრებებმა ან ლექციებმა. დროა ცოტათი მაინც ჩაუკვირდეთ თანამედროვე მომენტს და აგრეთვე თქვენს საქციელს. დროა თავი დაახწიოთ „სალათას ძალს“. გადაავლეთ თვალი სხვა დარგის მუშებს თუ როგორ იქცევიან და ცოტათი მაინც მიბაძეთ მათ. იკითხეთ მუშათა ინტერესების დამცველი გაზეთები, დაესწარით კრებებს და ლექციებს. თეოფანე ზემო აკეთელი.

**თფილისის არტილერიის საწყობი.** 21 დეკემბერს თფილისის არტილერიის საწყობის მუშებს და დარაჯებს ჰქონდათ კრება.

მთავარი კითხვა იყო დასმული ომის შესახებ. ლაპარაკი იყო იმაზე, რომ თფილისის არტილერიის საწყობი, რომელზედაც არის დამოკიდებული ჩვენი სამშობლოს ავ-კარგი, მოვალეა ყველა აქ მყოფნი დახმარება გაუწიონ სინდისიერი მუშაობით სამშობლოს. ამისთვის საჭიროა ჩვენ ჩაბარებულ საწყობს გაუწიოთ მფარველობა, საჭიროა თვალყური ვადევნოთ შიგ მყოფ ხალხს, საჭიროა უსიტყვოდ შევასრულოთ ბრძანება ჩვენი სამხედრო უფროსებისა. დასასრულ მუშებმა შეფიცეს ერთმანეთს, რომ გულმოდგინეთ აასრულებენ იმ მოვალეობას, რომელიც დღეს მათ აქვს დაკისრებული. დარაჯთაგანი.

## ს.-დემ. პარტიაში

**თფილისი.** 22 დეკემბერს, მეოთხე სარაიონო კოლექტივის ბიუროს ახალ ბინაზე შესდგა ამავე რაიონის კოლექტივის წევრთა არაჩვეულებრივი, სასწრაფო სხდომა. სხდომა იხსნება დილის 11 საათზე. თავმჯდომარეობს ამხ. რ. ჩიხლაძე. ესწრება 15 წევრი.

დღის წესრიგი შემდეგია: 1) საზოგადო კრების მოწვევა—ახალი კოლექტივის ასარჩევათ, 2) ფოსტა ტელეგრაფის მოსამსახურეთა ორგანიზაცია, 3) დამფუძნებელი კრების ფონდის შეკრება, 4) ხაზინადრის არჩევა, 5) საღამოს გამართვა. 6) კლუბის მოწყობა, 7) საწევრო გადასახადის შეკრება და 8) საზოგადო კრების მოწვევა.

პირველი საკითხის შესახებ სხდომა არსებულ პირობებში, როდესაც პარტიის წევრთა თითქმის უმრავლესობა სახალხო გვარდიელები ფრონტზე არიან, უხერხულად სცნობს ახალი კოლექტივის ასარჩევათ საზოგადო კრების მოწვევას. კამათს იწვევს მეორე საკითხი, რომელიც დამტკიცებულ იქნა, ხოლო ორგანიზაციის ხელმძღვანელობა და გადაცხრილვა დაევალა ამხ. რ. ჩიხლაძეს და გ. მაჭავარიანს. მესამე კითხვის შესახებ, თანახმად მდივნის მოხსენებისა, რაიონი დაყოფილ იქნა პუნქტებათ და თითეულ პუნქტისთვის არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: 1) საბურთალოზე—გოგლიძე, 2) მილიციონერთა შორის—მ. ბერეჟიანი, 3) სტამბის მუშათა შორის—ამხ. თამაზაშვილი, 4) ფოსტა-ტელეგრაფში—ი. ომანიძე, 5) მიწათმოქმედების სამინისტროში—ი. მესხი, 6) ფარმაცევტთა შორის—თ. ქარცივაძე, 7) სასახლეში და ფრაქციაში რ. ჩიხლაძე.

ხაზინადრათ არჩეულ იქნა ამხ. გ. მაჭავარიანი.

კრებამ უხერხულად სცნო მომავალ კვირისთვის საღამოს მოწყობა. გადადებულ იქნა შემდეგისთვის. პარტიულ მუშათა კლუბის ბინის მოწყობა დაევალა ბინის კომისიასთან ერთად კლუბის კომისიას, რომელშიაც არჩეულ იქნენ: ამხ. გ. მაჭავარიანი და ი. მესხი.

რადგანაც პარტიის წევრთა მნიშვნელოვან რიცხვს საწევრო გადასახადი არა აქვს შემოტანილი, კრებამ დაადგინა: ყველა ის წევრი, ვინც სამი თვის განმავლობაში არ შემოიტანს საწევრო გადასახადს, გარიცხულ იქნას პარტიიდან. საწევროს შემოტანის უკანასკნელ ვადათ დანიშნულ იქნა 10 იანვარი, რის შემდეგ ვინც არ შემოიტანს, გაირიცხება პარტიიდან. მდივანი.

## წერილი რედაქციის მიმართ

„ერთობა“-ს ამ წლის 29 ნოემბრის ნომერში მოთავსებულია კორესპონდენცია ბორჯომიდან „მოქალაქის“ ფსევდონიმით. „მოქალაქეს“ უფრო მეტად ჩემი პიროვნების დამცირება აინტერესებს, ვიდრე საზოგადოებრივი აზრი და ამ საქმის გაკეთება. ბ-ნი მოქალაქე სტყუის ვითომ მე საიდანმე მოვლენილვარ ინსპექტორად ბორჯომის სახელოსნო სასწავლებელს. მას შეეძლო გაეგო, რომ მე ამ სასწავლებელში ვმსახურობ მეთორმეტე წელიწადია. ერთში მართალია „მოქალაქე“, რომ მე სპეციალური (სახელოსნო) განათლებით არა ვარ, მაგრამ ამით ვის აკვირვებ ბ-ნო „მოქალაქევ?“ ეს თქვენზე წინაც იცოდა პედაგოგიურმა საბჭომ, რომელმაც ამ თანამდებობაზე ამირჩია, იცოდა მთავრობამაც. არ შეეფერება სიმართლეს ვითომ მე სასწავლებელი დახურვამდე მიმეყვანოს. მოვაგონებ ბ-ნ „მოქალაქეს“, რომ სასწავლებლად გადაკეთება სკოლისა ჩემი მეცადინეობით მოხდა და თუ ამ საათში სასწავლებელი მატერიალურ გაჭირვებას განიცდის—ეს ჩვენ დიდი ხანია ვიცით და მთავრობასაც საკმაოდ აქვს განმარტებული, მაგრამ, ნუ თუ ჩემი ბრალია ის, რომ მთავრობა, საერთო მიზეზების გამო, დროზე ვერ გვაწვდის საშუალებებს.

რაც შეეხება პედაგოგიური საბჭოს დადგენილებას ჩემს წინააღმდეგ და მოწაფეების როლს ამ საქმეში—მოგახსენებთ, რომ თქვენ აქ მეტ შეცდომას უშვებთ სიმართლის წინააღმდეგ. ნუ თუ საბჭოს დადგენილებათ უნდა ჩაითვალოს ერთი თუ ორი თავის სასარგებლოდ დაინტერესებული პირთა აზრი? რა ვუყოთ რომ გამგემ ყველას ვერ აასიამოვნოს და ვერ მისცეს ის, რასაც ისინი უსამართლოდ მოითხოვენ? ყალბი ცნობების მიწოდებით შეცდომაში შეგყავთ გაზეთიც და საზოგადოებაც. მეტი სიფრთხილე და მიუდგომლობა ბ-ნო „მოქალაქევ“! კორესპონდენტს მეტი მოეთხოვება!

ბორჯომის სახ. სასწ. გამგე გ. ვაშაკიძე.

# განცხადებანი

## ბ ი უ რ ო

საქართველოს ს.-დ. მუშათა პარტიის თფილ. ორგანიზაციის მე-4 რაიონულ კოლექტივისა გადავიდა ახალ ბინაზე, ოლღას ქუჩა № 29, სახლი არამიანცისა. ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 3—7 საათამდე.

ამასთანავე ბიურო აცხადებს, რომ საწევრო გადასახადისა და საარჩევნო ფონდის სასარგებლოდ გადადებული დღიური ხელფასის მიღება ხდება ბიუროში ზემოთ აღნიშნულ საათების განმავლობაში.

გაიხსნილია
### კერძო სამკურნალო
მუდმივი საწოლებით.
მიიღება ყოველგვარი სნეულებიანი ავათმყოფნი.

მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ გვერდით) ტელეფ. 5—97. ავათმყოფთა მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია, „914“ და „606“ შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა, სტაციონალური ავათმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

**გაიხსნა თვალის საავადმყოფო**
(მუდმივი საწოლებით)
### ექიმი დონხინისა
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

მედიცინის დოქტორი
### ა. გ. მაჭავარიანი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—7 ს. ყოველდღე, გარდა კვირისა. მიხეილის ქუჩა. № 111. სახლი ადამოვისა, 2 ფლიგელი. ველის ტელ. № 49.

**მიხეილის კერძო სამკურნალო**
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.

ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ აკოფოვი ქალ. და საბებიო 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. და ქალ. 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დღის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., კ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს. მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ-აკოფოვის ზედამხედველობით.

ექიმი
### ა. ნ. შატილოვი
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

**ექიმი მ. ა. შაფრანი.**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

**კბილის საექიმო კაბინეტები**
**თედორე ხაყვარელის ძე ცხომელიძისა**
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

**მმ. ქალი რ. ნ. ზიზილო-ხაბაზიშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ... მიდიკურ-ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხეილის პრ., № 119, სახლი ფურერის. ტელ. 9—26.

ექიმი
**იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე**
ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

ექიმი
### პ. ტ. ლორთქიფანიძე
(ბაქოდან)
მიიღებს შინაგან სნეულებისა და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე.
ნაბერეჟნის ქუჩა, სახლი 11. ტელ. 8—19.

**ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე**
### მ ა ხ ვ ი ლ ა ძ ე
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დაავადებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლოს.

ექიმი ქალი
**ე. ს. კარუკის—ბიბურიშვილი.**
იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე დილის 12—2 ს. საღამოს 4—6 საათ. იძლევა საბებიო დარიგებას. მისამართი: ბელინსკისა და იზმაილოვის ქუჩების კუთხე № 24—28. შესასვლელი იზმაილოვის ქუჩიდან.

**ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი**
(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან სნეულებანი, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმბოლიშვილის აფთიაქის გვერდით.

**რენტგენისა და ელექტრონის სხივებით სამკურნალო კაბინეტი.**
წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენტგენის კაბინეტის ყოფილი გამგე
**დოქტორ ა. გ. ლევინშტეინისა.**
რენტგენო ფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა. სპეციალური რენტგენო-დიაგნოსტიკა გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ჭლექის ავადმყოფობისა. ელექტრო-მკურნალობა და მზიანი ტერაპია. მიღება დილის 10 ნახ.—1 საათ. და საღ. 4—7 საათ. მისამართი: კრილოვის ქ. № 5, ბინა № 3.

### სახელმწიფო თეატრი „კავშირის დარბაზი“.
წარ. № 7. პარასკევს, 27 დეკემბერს წარ. № 7.
წარმოდგენილი იქნება ისტორიული პიესა აქვ. ცაგარლისა
### ქართველი ქალი
4 მოქმ.

წმინდა შემოსავალი გადაიდება ომის საჭიროებისათვის

რეჟისორი შალვა დადიანი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე. ადგილების ფასი მომატებულია.
მორიგი წარმომადგენელი ალ. გაჩეჩილაძე. მსახიობთა კავშირის დირექცია. მზადდება: ტარიელ გოლუა, ანტიგონე.
(3—2)

### სახელმწიფო თეატრი
ოპერა.
ხუთშაბათს, 26 დეკემბერს,
საბანეევას, მოროზოვისა, სარაჯიშვილის და ნიკოლსკის მონაწილეობით

| I | II |
|---|---|
| ლაკმე | ბალეტი (საათების თამაში ოპერიდან „ჯოკონდა“) |

შაბათს 28 დეკემბერს
### გოფმანის ზღაპრები
კვირას 29 დეკემბერს

| დილით | საღამოს |
|---|---|
| ევგენი ონეგინი | ზაზა |

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლ. არს. ქართ. წარ. მმარ. წრე. **სახალხო სახლი.**
ხუთშაბათს 26 დეკემბერს 1918 წ. წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა
### რევოლუციის რიურაჟზე
დრ. ოთხ მოქმედებად ალ. მგალობლიშვილისა.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი ე. ბარათაშვილი, ე. იანქოშვილი, მ. ქილარჯიშვილი; ბ.ბ. ი. ბარველი, ა. ჟეჟრელი, ვ. კობელი, თალაკვაძე, ი. რამიშვილი, ფირიაშვილი, ა. მეტრეველი, ი. სადაყაია, შ. მამაჯანოვი, ვ. რატიშვილი.
რეჟისორი ი. ხარველი. ადგილების ფასი 3 მან.—50 კ.-მდე.
ბილეთების კასა ღიაა ყოველდღე დილის 10—12 მდე და საღამოს 6—8 საათამდე.
რადგან ლენერალ გუბერნატორის ბრძანებით წარმოდგენები ხრულ ათ საათზე უნდა თავდებოდეს, ამიტომ დღეიდან ჩვენი წარმოდგენები დაიწყება ხრულ შვიდის ნახევარზე.

### ხელოსანთა კლუბი
ხუთშაბათს, 26 დეკემბერს 1918 წ. რესტორანების და კლუბების მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი მართავს წარმოდგენას უმუშევართა სასარგებლოთ თავის წევრთათვის წარმოდგენილი იქნება
I
### ჯერ დაიხოცნენ მერე დაქორწილდნენ
კომედია 2 მოქ. რაფ. ერისთავისა.
II
### უბედური დებიუტი
ვოდევილი 1 მოქ. ახოსპირელისა.
ბ-ნნი გელიკურაშვილი და სალაყაია იმღერებენ ვაი-ვუას ხმაზე, დღევანდელ ჭირ-ვარამზე მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალები. დაუკრავს საზანდარი
რეჟისორი ალ. გოგაშვილი. ადმინისტრატორი გამგეობა.

### საქართვ. ს.-დ. მუშ. პარტიის ცენტრ. კომ. და თფ. კომიტეტი
გადავიდა ახალ შენობაში, გოლოვინის პროსპექტი, სახლი არაქელოვისა № 24, მე-3 სართული. ტელფ. 3—67

**მეოთხე რაიონული კოლექტივი**
ხუთშაბათს, 26 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე, თავის ბიუროს ახალ ბინაზე (ოლღას ქუჩ. № 29) იწვევს ამავე რაიონის პარტიის წევრთა
### საგანგებო კრებას
დღის წესრიგი: საქართველო-სომხეთის ომი. მომხსენებელი ნათაძე.
მეტად მნიშვნელოვან საკითხის გამო, ვსთხოვთ ყველა პარტიის წევრებს აუცილებლად დაესწრონ. რაიონული კოლექტივი.

### განცხადება
საქართველოს რესპუბლიკის არსენალი ამით აცხადებს, რომ მას საჩქაროდ სჭირდება 8 მჭედელი, 8 ურმის მკვრელი, 8 ზეინკალი თოქმაჩი, 3 ხარატი და 6 სარაჯი.
ცნობების მიღება შესახებ სამსახურის პირობებისა შეიძლება არსენალის სამდივნოში დილის 9 დან 3 საათამდე.
არსენალის უფროსი გვ. კაპიტანი გედევანიშვილი.
(3—2) საქმეთა მმართველი შავლაძე.

### განცხადება
### სამხედრო სამინისტროს სააღმინისტრაციო ნაწილი
ამით აცხადებს, რომ რადგანაც ტანისამოსისა და მოკაზმულობის სამზადისი ნაკლებათ მოიპოვება, სამხედრო მინისტრმა გასცა ბრძანება, რომ ჯარში გაწვეულ ახალგაზრდებს მიეცეს სასყიდელი იმ ტანისამოსისა, რომელსაც იგი მოიტანს, თუ ეს ტანისამოსი ვ რგა სახმარებლათ და შეეფერება არსებულ ფორმას.

დაწესებულია შემდეგი ფასები:

| | |
|---|---|
| თითო მაზარაში | 75 მანეთი |
| ხალათში | 53 „ |
| შარვალში | 40 „ |
| პერანგში | 15 „ |
| პერანგის ამხანაგში | 15 „ |
| ერთ წყვილ წინდაში | 4 მან. 50 კ. |
| ერთ წყვილ წაღაში | 120 „ |
| ერთ წყვილ ბათინკაში | 105 „ |

(3—2)

ამა წლის 29 აგვისტოს (ახ. სტილ.) ბელორეჩინსკაიას 9 ვერსით მოშორებულ სტანიცა ფოხოვსკაიას მახლობლად (ტუაფსე-არმავირის რაიონი) ბრძოლის დროს
### უკვალოდ დაიკარგა
1-ელ ქართულ საარტილერიო ბრიგადის მე 6-ე ბატარეის კანონირი
**დავით არონის ძე ელიგულაშვილი.**
ვინც მის შესახებ რაიმე სარწმუნო ცნობების მოწოდებას შესძლებს, დაბეჯითებით ვსთხოვთ
### ჯილდოს მიღებით
შეატყობინოს გულდათუთქულ მშობლებს შემდეგი მისამართით: ქ. ქუთაისი. მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი, არონ იაკობიძე ელიგულაშვილი. (12—9)

## იყიდება ძველი გაზეთები
პირობების გაგება შეიძლება გაზ. „ერთობის“ კანტორაში—დილის 9 საათ. 2 ს. და საღამოს 5—8 საათამდე.

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი. № 1.